ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ახალქალაქის N3 საჯარო სკოლა , ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება*)*

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე:
ზვიად ბერიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)
წევრ(ებ)ი:
სოფიო დუმბაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ახალქალაქის N3 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	223364222

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი
ფაქტობრივი მისამართი	ახალქალაქი, თამარ მეფის ქ. №33
საფოსტო ინდექსი	0700
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	Skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Akhalkalaki3@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება MES 3 26 0000241841, 27/02/2026 წ.
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 27 თებერვლის MES 3 26 0000241841 ბრძანების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ახალქალაქის N3 საჯარო სკოლის გეგმიური მონიტორინგი, დოკუმეტების შესწავლით. სკოლის მიერ გადმოგზავნილი იქნა მონიტორინგის ფარგლებში შესამოწმებელი კომპონენტების მიმართებით სათანადო მტკიცებულებები, ამასთან ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილი და სკოლის მიერ მოწოდებული იქნა დამატებითი დოკუმენტები.

გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლის მეორე პუნქტით განსაზრული ,,გ.ა“ ,"გ.დ" , "გ.ე" და ,,გ.ვ“ კომპონენტების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება.

მონიტორინგის ფარგლებში, შემოწმდა წინა ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი, შემოწმების შედეგები ასახული იქნა წინამდებარე დოკუმენტში.

აღსანიშნავია, რომ სკოლას წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულება სრულად არ განუხორციელებია, რაც მიუთითებს რეკომენდაციების შესრულების პროცესში არასაკმარის დაგეგმვასა და მონიტორინგზე. აღნიშნული გარემოება საჭიროებს სკოლის მხრიდან უფრო ეფექტიანი მართვის მექანიზმების დანერგვას. მნიშვნელოვანია, რომ სკოლამ სისტემურად მიუდგეს

რეკომენდაციების შესრულების პროცესს და უზრუნველყოს მათი ინტეგრირება სკოლის სამოქმედო გეგმასა და შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
300	**224**

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

დასკვნის პროექტით დახარვეზებული იქნა:
ა) ინდიკატორი N3.1.2.3.

- *სკოლის დირექტორის ბრძანებით მასწავლებლის შერჩევის მიზნით შექმნილი საკონკურსო კომისიის შემადგენლობა არ არის განსაზღვრული საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, კერძოდ კომისიის წევრად არ არის განსაზღვრული დამოუკიდებელი მოწვეული სპეციალისტი, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დარგობრივი დეპარტამენტის წარმომადგენელი, სსიპ – მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი და მასწავლებელთა პროფესიული კავშირის წარმომადგენელი.*

- *სკოლის ზოგიერთ ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალს (მაგ.ექთანი) არ აქვს წარმოდგენილი ცნობა უფლების ჩამორთმევის შესახებ.*

ბ) ინდიკატორი N3.1.2.4. - სკოლას, ადმინისტრაციული-ტექნიკური პერსონალის მიმართ დადგენილი არ აქვს საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

გ) ინდიკატორი N3.4.1.2. - სკოლის მიერ არ არის შემუშავებული ,,სკოლის შენობაში პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები", კერძოდ არ არის განსაზღვრული პირველადი გადაუდებელი დახმარების ძირითადი ელემენტები და განსახორციელებელი ქმედებები, ხსენებული მექანიზმების არ არსებობის პირობებში, არსებობს რისკი, რომ დირექციის მხრიდან, სკოლის სამედიცინო პერსონალის შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციების შესრულების ზედამხედველობა ვერ იქნება ეფექტური.

სკოლის მიერ წარმოდგენილი იქნა ზოგიერთი ხარვეზის აღმოფხვრის დამადასტურებელი მტკიცებულება და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა (შემდგომში - შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა).
წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვის შედეგად ექსპერტმა ჯგუფმა გაიზიარა, არგუმენტირებული პოზიცია შემდეგ გარემოებათა გამო:
ა) შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულია სკოლის ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის მიერ კანონმდებლობით დადგენილი ცნობების წარმოდგენის მიზნით განსახორციელებელი აქტივობა, ხარვეზის აღმოფხვრის სავარაუდო ვადად მითითებულია 2026 წლის ივნისი.
ექსპერტთა მოსაზრებით, აღნიშნულ ვადაში შესაძლ;ებელია ხარვეზის აღოფხვრა.
ბ) სკოლის მიერ წარმოდგენილი იქნა ხარვეზის აღმოფხვრის მტკიცებულება:

- *სკოლის დიერქტორის 2026 წლის 17 აპრილის N 1/36 ბრძანებით დამტკიცებული ,,სკოლის პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები".*
- *სკოლის დიერქტორის 2026 წლის 17 აპრილის N 1/37 ბრძანებით დამტკიცებული ,, სკოლის შენობაში პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმი".*

წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეესაბამება, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

სკოლის მიერ მონიტორინგის განხორციელების პერიოდში წარმოდგენილი იქნა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლიც განსაზღვრავს:

ა) საკონკურსო კომისიის მიერ მასწავლებლთა შერჩევისას გამოვლენილი ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს და ხარვეზის აღმოფხვრის ვადას;

ბ) შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად განსახორციელებელ ღონისძიებებს;

გ) სკოლის შენობაში დამონტაჟებული ლიფტის ტექნიკური უსაფრთხოების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს.

ექსპერტთა ჯგუფი მონიტორინგის განხორციელების პერიოდში წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუმველყოფის გეგმას დაეთანხმა ნაწილობრივ, კერძოდ არ იქნა გაზიარებული საკონკურსო კომისიის მიერ მასწავლებლთა შერჩევის დროს გამოვლენილი ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმით (ოქმი N2. 24.01.2024 წ), დგინდება რომ ღია კონკურსის გზით შეირჩა ინგლისური ენის პედაგოგი, კომისიის შემადგენლობა არ იყო განსაზღვრული, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, ამ ნაწილში ვერ იქნება გათვალისწინებული, რადგან ექსპერტთა მიერ დაფიქსირებული ხარვეზი ეხება წარსულში მომხდარ ფაქტს, დამდგარ შედეგს, შესაბამისად სკოლის მიერ განხორციელებული აქტივობა ვერ უზრუნველყოფს უკვე დამდგარი შედეგის აღმოფხვრას, ვინაიდან : (ა) ხარვეზი უკვე რეალიზებულია (ფაქტია და არა რისკი) ბ) შესაბამისობის გეგმა მიმართულია მომავალში გასატარებელ ღონისძიებებზე და არ ასახავს არსებულ მდგომარეობას, რაც ვერ ჩაითვლება ხარვეზის აღმოფხვრის საკმარის საფუძვლად.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის III სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☒ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.6. საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N3.1.2.3.	*პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით*	*სკოლის დირექტორის ბრძანებით მასწავლებლის შერჩევის მიზნით შექმნილი საკონკურსო კომისიის შემადგენლობა არ არის განსაზღვრული საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, კერძოდ კომისიის წევრად არ არის განსაზღვრული დამოუკიდებელი მოწვეული სპეციალისტი, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დარგობრივი დეპარტამენტის წარმომადგენელი, სსიპ – მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი და მასწავლებელთა პროფესიული კავშირის წარმომადგენელი. (იხ. ინდიკატორის აღწერა)*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[1]

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N3.4.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.*	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია:* ➢ *შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში განახორციელოს სათანდო ღონისძიებები. მნიშვნელოვანია სკოლაში სათანადოდ იყოს დაცული სახანძრო უსაფრთხოება, რომელიც არის პრაქტიკული გადაწყვეტილებების ერთობლიობა, რამაც უნდა უზრუნველყოს ხანძრისგან გამოწვეულ ზიანის შემცირება და როგორც ადამიანების სიცოცხლის, ისე მატერიალურ ქონების დაცვა.* ➢ *შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს ლიფტის უსაფრთხო ექსპლუატაციასთან დაკავშირებული მოთხოვნების შესრულება, კერძოდ ლიფტის სავალდებულო შემოწმება და რეგისტრაცია, მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების უწყებრივ რეესტრში.*

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

V. რჩევები

სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი N 3.4.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.*	➢ *ექსპერტიზის დასკვნაში მითითებული გარემოებების გათვალისწინებით (რომლის მიხედვითაც სკოლის შენობაზე გამოვლენილი დეფექტები საჭიროებს დროულ აღმოფხვრას) სკოლას მიეცა რჩევა საჭირო მხარდაჭერის მიღების მიზნით დროულად მიმართოს შესაბამის სახელმწიფო უწყებებს, ამასთან თავისი შესაძლებლობების ფარგლებში გაატაროს სათანადო პერევენციული ღონისძიებები, რათა არ წარმოიშვას უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები.* ➢ *გამოყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც უნდა ჰქონდეს შესაბამის აკრედიტებულ ორგანიზაციაში გავლილი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა.*
ინდიკატორი N 3.6.1.2.	*ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად*	*სასურველია ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) ინფრასტრუქტურის სარგებლობის წესით განისაზღვროს, კომპიუტერული ტექნიკის, ქსელების, პროგრამული უზრუნველყოფისა და მონაცემთა ბაზების უსაფრთხო გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები: წვდომის კონტროლი, მონაცემთა დაცვა, არასანქცირებული ქმედებების აკრძალვა და რესურსების მიზნობრივი გამოყენება.*

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*	*რეკომენდაციების შესრულების სტატუსი*
ინდიკატორი N3.1.2.3.	*პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმება ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით*	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია : ა.უზრუნველყოს სკოლაში დასაქმებული ყველა პირისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული ცნობების არსებობა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში. ბ.მოწვეულ მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიყვანოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში*	*მეტწილად არის შესრულებული*
ინდიკატორი N3.1.2.4.	*პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;*	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შემუშავება და პერსონალის შესაბამისობა დაკავებულ თანამდებობასთან*	*შესრულებულია*
ინდიკატორი	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის*	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია*	*მეტწილად არის*

N3.4.1.1.	ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში: ა. გამიჯნოს საერთო სარგებლობის ეზო „ენის სახლთან"; ბ. აიყვანოს ექიმი; გ. შეათანხმოს საგანგბო სიტუაციების მართვის გეგმა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან; დ. მოიპოვოს დასკვნა შენობანაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ შესაბამისი უწყებიდან; ე. მოიპოვოს დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ.	შესრულებული
ინდიკატორი N3.6.3.1	სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით	სკოლას მიეცა რეკომენდაცია დაიცვას შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადები სკოლის ვებგვერდის დამზადებისას და ვებგვერდი გამოიყენოს საზოგადოებასთან საკომუნიკაციოდ	შესრულებულია
ინდიკატორი N3.6.3.4.	სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოს ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსება ქართულ ენაზე.	შესრულებულია
ინდიკატორი	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი	სკოლას მიეცა რეკომენდაცია	

N3.6.3.5.	*გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.*	*შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოს ვებგვერდზე მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრუქტურის, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებების, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურების და მისანიჭებელი კვალიფიკაციის (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნების, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისების, გასაჩივრების მექანიზმების, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიშის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების და საკონტაქტო ინფორმაციის ასახვა.*	*შესრულებულია*

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (III სტანდარტი)

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ახალქალაქის N3 საჯარო სკოლის (შემდგომში - სკოლა) სტრუქტურა განსაზღვრულია,, ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად. სკოლის სტრუქტურა მოიცავს პედაგოგიურ საბჭოს, სამეურვეო საბჭოს, დირექციას, მოსწავლეთა თვითმმართველობას და დისციპლინურ კომიტეტს.

სკოლის მიერ წარმოდგენილია, დოკუმენტი სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების შესახებ, დოკუმენტი აზუსტებს სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებს და დასაქმებულთა სამუშაო აღწერილობას.

სკოლის საშტატო განრიგით დასაქმებული პირები არიან: დირექტორი, დირექტორის მოადგილე და ბუღალტერი - მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი; საქმისმწარმოებელი; საინფორმაციო მენეჯერი; ბიბლიოთეკარი; ექთანი, ფსიქოლოგი, ლაბორანტი, ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი სპეციალისტი (2- საშტატო ერთეული), დამლაგებელი (3 - საშტატო ერთეული), დარაჯი (2- საშტატო ერთეული), ცეცხლფარეში (ერთი საშტატო ერთეული).

სკოლის სტრუქტურული მოწყობა შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები გადანაწილებულია დასაქმებულთა მიერ დაკავებული შრომითი პოზიციების მიხედვით, არ არის გადაფარული სხვადასხვა დასაქმებულთა ფუნქცია-მოვალეობები, დაკისრებული შრომითი მოვალეობები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან (შრომის კოდექსი, ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი და სხვა) რამაც შესაძლოა ხელი შეუწყოს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების შესახებ დოკუმენტი;
- საშტატო განრიგი;
- შრომითი ხელშეკრულებები.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლის მიერ წარმოდგენილია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს პერსონალის მართვის პროცედურებს. პოლიტიკის მიზანია უზრუნველყოს სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პროცესების წარმართვა ეფექტიანად და კანონთან, დაწესებულების მისიასთან, ხედვასა და ღირებულებებთან შესაბამისობით,

ასევე, შექმნას გარემო, რომელიც უზრუნველყოფს დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალურ წარმოჩენასა და რეალიზებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლის მიერ შემუშავებული ადამინაური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი არეგულირებს პერსონალის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, პერსონალის პრევენციული და ინტერვენციული მართვისთვის სკოლა ახდენს ადამიანური რესურსის საჭიროების დროულ ანალიზს.
პერსონალის ინტერვენციული მართვის მიზნებისთვის ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო აღწერილობით გათვალისწინებულია ურთიერთჩანაცვლების საკითხი, რათა საჭიროების შემთხვევაში (დასაქმებულის შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა და სხვ.) მიზნობრივად იქნას ფუნქციების დელეგირება სხვაზე იმგვარად, რომ არ დაზარალდეს სკოლაში მიმდინარე მართვისა თუ ოპერაციული პროცესები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლის მიერ წარმოდგენილია მასწავლებლის შერჩევის მიზნით საკონკურსო კომიიის შექმნის შესახებ სკოლის დირექტორის ბრძანებები და საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმები, რომლითაც დგინდება, რომ **სკოლის დირექტორის ბრძანებით მასწავლებლის შერჩევის მიზნით შექმნილი საკონკურსო კომისიის შემადგენლობა არ არის განსაზღვრული საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, კერძოდ კომისიის წევრად არ არის განსაზღვრული დამოუკიდებელი მოწვეული სპეციალისტი, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დარგობრივი დეპარტამენტის წარმომადგენელი, სსიპ – მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი და მასწავლებელთა პროფესიული კავშირის წარმომადგენელი.**

სკოლის მიერ მონიტორინგის განხორციელების პერიოდში წარმოდგენილი იქნა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლიც განსაზღვრავს ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს და ხარვეზის აღმოფხვრის ვადას.

ექპერტთა ჯგუფის მიერ არ იქნა გაზიარებული, ხსენებული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით სკოლის მიერ შემუშავებული ღონისძიებები, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმით (ოქმი N2. 24.01.2024 წ), დგინდება რომ ღია კონკურსის გზით შეირჩა ინგლისური ენის პედაგოგი, კომისიის შემადგენლობა არ იყო განსაზღვრული, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, ვერ იქნება გათვალისწინებული, რადგან ექსპერტთა მიერ დაფიქსირებული ხარვეზი ეხება წარსულში მომხდარ ფაქტს, დამდგარ შედეგს, შესაბამისად სკოლის მიერ განხორციელებული აქტივობა ვერ უზრუნველყოფს უკვე დამდგარი შედეგის აღმოფხვრას, რადგან: (ა) ხარვეზი უკვე რეალიზებულია (ფაქტია და არა რისკი) ბ) შესაბამისობის გეგმა მიმართულია მომავალში გასატარებელ ღონისძიებებზე და არ ასახავს არსებულ მდგომარეობას, რაც ვერ ჩაითვლება ხარვეზის აღმოფხვრის საკმარის საფუძვლად.

სკოლის მიერ წარმოდგენილი იქნა მასწავლებელთა სახელზე გაცემული ცნობები ნასამართლობის შესახებ, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ.

შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულია სკოლის ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის მიერ კანონმდებლობით დადგენილი ცნობების წარმოდგენის მიზნით განსახორციელებელი აქტივობა, ხარვეზის აღმოფხვრის სავარაუდო ვადად მითითებულია 2026 წლის ივნისი.

ექსპერტთა მოსაზრებით, აღნიშნულ ვადაში შესაძლ;ებელია ხარვეზის აღოფხვრა.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუმველყოს სკოლის ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის პირად საქმეში ნასამართლობის შესახებ, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობების განთავსება.

სკოლის მიერ მეტწილად არის შეუსრულებული წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაცია. **ინდიკატორის მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული.**

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

წარმოდგენილია სკოლის ექთნის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, რომელთა შესწავლით დგინდება, რომ სკოლის ექთნის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №41/ნ/01-23/ნ 2022 წლის 21 მარტი).

სკოლის მიერ წარმოდგენილი იქნა ხარვეზის აღმოფხვრის მტკიცებულება, სკოლის დიერქტორის 2026 წლის 17 აპრილის N 1/36 ბრძანებით დამტკიცებული „სკოლის პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები“.
წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეესაბამება, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.
სკოლის მიერ შესრულებულია წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაცია. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით (საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმები, მრჩევეთა საბჭოს სხდომის ოქმი) დგინდება, რომ სკოლის მართვა ხორციელდება მონაწილეობით, რაც გულისხმობს პერსონალის ჩართულობას და თანამშრომლობას დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების პროცესში. სკოლის პედაგოგების და მშობელთა წარმომადგენლები კანონმდებლობით დადგენილი წესით არჩეული არიან სამეურვეო საბჭოში, დისციპლინურ კომიტეტში, რაც უზრუნველყოფს მონაწილეობით მმართველობის განხორციელებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

წარმატებული გამოცდილებების აღიარებისა და გაზიარების ცალკეული მექნაიზმები სკოლას გაწერილი აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტში. აღნიშნული მექანიზმები საშუალებას აძლევს პედაგოგებს გაეცნონ არსებულ გამოცდილებას, დასვან კითხვები, მიიღონ პასუხები, მოტივირდნენ კონსტრუქციული, პოზიტიური უკუკავშირით და აღიარებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- სკოლის ექთნის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ სკოლის დირექტორის ბრძანება.
- დასაქმებულთა სახელზე გაცემული ცნობა ნასამართლობის შესახებ, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ;
- სამეურვეო საბჭოს სხდომი ოქმი;
- მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმი;
- შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.**
   სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირები/მანდატურები.
   სკოლას აქვს:
   ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან (შესაბამის ტერიტორიულ ერთეულთან) შეთანხმებული და სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. (შეთანხმების წერილი MIA 8 25 01678446 03.06.2025 წ, გეგმა დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2025 წლის 29 მაისის N 1/14 ბრძანებით)

ბ) უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა (სსიპ ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ 2024 წლის 15 მაისს გაცემული ექპსერტიზის დასკვნა N003153624)

ექსპერტიზის დასკვნის თანახმად სკოლის შენობის ტექნიკური მდგომაროება დამაკმაყოფილებელია და შენობის ექსპლუატაცია არ არის საფრთხის შემცვლელი. ამასთან ექპსერტიზის დასკვნაში მითითებულია, რომ კვლევით ნაწილში მითითებული დეფექტები საჭიროებს დროულ აღმოფხვრას.

ექსპერტიზის დასკვნაში მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, **სკოლას მიეცა რჩევა** საჭირო მხარდაჭერის მიღების მიზნით დროულად მიმართოს შესაბამის სახელმწიფო უწყებებს, ამასთან თავისი შესაძლებლობების ფარგლებში გაატაროს სათანადო პერევენციული ღონისძიებები, რათა არ წარმოიშვას უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები.

სკოლა არ აქვს დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.

სკოლას მიღებული აქვს 2025 წლის 24 მარტს დათარიღებული სახანძრო უსაფრთხოების, საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხრის თაობაზე ზედამხედველობის მიწერილობა N74. მიწერილობაში დაფიქსირებული ხარვეზები არ არის აღმოფხვრილი, გასაულია შესრულების ვადები.

2024 წლის 25 სექტემბერს, აღნიშნულთან საკითხთან დაკავშირებით სკოლამ N1204853 წერილით მიმართა დახმარებისათვის საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტს. ასევე, 2025 წლის 11 ნოემბერს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სკოლამ დახმარებისთვის მიმართა ახალქალაქის მერიის შესაბამის სამსახურს. (საკითხი გადაწყვეტილი არ არის)

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობა უზრუნველყოფილი უნდა იქნეს 2027 წლის აპრილის ჩათვლით.

ექსპერტთა მიერ გაზიარებული იქნა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, ჩვენი მოსაზრებით, განსახორციელებელი ქმედებების სწორად ორგანიზების შემთხვევაში, აღნიშნულ ვადაში შესაძლებელი იქნება ხარვეზის აღმოფხვრა.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში განახორციელოს სათანდო ღონისძიებები. მნიშველოვანია სკოლაში სათანადოდ იყოს დაცული სახანძრო უსაფრთხოება, რომელიც არის პრაქტიკული გადაწყვეტილებების

ერთობლიობა, რამაც უნდა უზრუნველყოს ხანძრისგან გამოწვეულ ზიანის შემცირება და როგორც ადამიანების სიცოცხლის, ისე მატერიალურ ქონების დაცვა.

სკოლის შენობაში დამონტაჟებული ლიფტი საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“, მე-17 მუხლის პირველი ნაწილის, მე-18 მუხლის მე-5 ნაწილის „პ“ ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტების მოთხოვნათა შესაბამისად არ არის დარეგისტრირებული საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცვლელი ობიექტების უწყებრივ რეესტრში.

სკოლის მიერ წარმოდგენილია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლითაც განსაზღვრულია ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით განსახორციელებელი აქტივობები. შესაბამისობის გეგმის თანახმად ხარვეზის აღმოფხვრა უნდა მოხდეს არაუგვიანეს 2026 წლის სექტემბერში.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და თვლის, რომ მითითებულ ვადაში შესაძლებელია ხარვეზის აღმოფხვრა.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს ლიფტის უსაფრთხო ექსპლუატაციასთან დაკავშირებული მოთხოვნების შესრულება, კერძოდ ლიფტის სავალდებულო შემოწმება და ლიფტის რეგისტრაცია, მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცვლელი ობიექტების უწყებრივ რეესტრში.

,,შრომის უსაფრთხოების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნების შესაბამისად სკოლას გამოყოფილი არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. მოცემული ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით სკოლას **მიეცა რჩევა** - გამოყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც უნდა ჰქონდეს შესაბამის აკრედიტებულ ორგანიზაციაში გავლილი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა.

სკოლის მიერ მეტწილად არის შესრულებული წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაცია. **ინდიკატორის მოთხოვნები მეტწილად არის დაკმაყოფილებული.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლის მიერ წარმოდგენილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ამსახველი ფოტომასალებით, საინვენტარიზაციო აღწერის უწყისებით დგინდება, რომ სკოლის შენობაში გამოყოფილია სათანადო ინვენტარით აღჭურვილის სამედიცინო ოთახი, სკოლას საშტატო განრიგის მიხედვით, შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექთანი.

წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ სკოლის ექთანი აწარმოებს გაწეული სამედიცინო მომსახურების სააღრიცხვო ფორმას, დახარჯული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების სააღრიცხვო ფორმას, ვადაგასული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების სააღრიცხვო ფორმას, ასევე სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალს, რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით (№41/ნ/01-23/ნ 2022 წლის 21 მარტი) დადგენილ მოთხოვნებთან.

სკოლის მიერ წარმოდგენილი იქნა ხარვეზის აღმოფხვრის მტკიცებულება, სკოლის დიერქტორის 2026 წლის 17 აპრილის N 1/37 ბრძანებით დამტკიცებული ,, სკოლის შენობაში პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმი“.

წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეესაბამება, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს უფლებამოსილი პირები/მანდატურები (უფლებამოსილი პირები განსაზღვრულია სკოლის დირექტორის 2026 წლის 23 თებერვლის N1/15 ბრძანებით).

სკოლის დირექტორის 2025 წლის 20 ოქტომბრის N 1/265 ბრძანებით შექმნილია მრჩეველთა საბჭო. წარმოდგენილია მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმები. წარმოდგენილი ფოტომასალებით დასტურდება, რომ სკოლის შენობა აღჭურვილია ვიდეო-სთვალთვალო სისტემით. სკოლის მიერ შემუშავებულია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები, რომლის მიზნია:

ა) ბავშვთა უფლებების დაცვა და ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება; ბ) სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება; გ) სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაზე ეფექტური რეაგირება;

დ) ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სასკოლო დისციპლინის დაცვის მიზნით სკოლის მიერ შემუშავებული მექნიზმების (სკოლის შინაგანაწესი, ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები) განხორციელების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება, სასწავლო გარემოს უსაფრთხოება.
სკოლას საშტატო განრიგის შესაბამისად ჰყავს ფსიქოლოგი, რომელიც არის დამატებითი შესაძლებლობა მოსწავლეებმა, დაინტერესებულ პირებმა საჭიროების შემთხვევაში მიიღონ კვალიფიციური ფსიქოლოგიური მომსახურება.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ,,სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი". (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2026 წლის 26 მარტის MES 1 26 0000366300 ბრზანებით.)
სკოლის მიერ წარმოდგენილი ფოტომასალით დგინდება, რომ სკოლაში არსებობს გამიჯნული სანიტარული კვანძები, ცალკე ქალებისა და ცალკე კაცებისათვის, ასევე სკოლაში განთავსებულია ადაპტირებული სველი წერტილი.
საშტატო განრიგის მიხედვით, სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით დასაქმებულია სამი დამლაგებელი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლის მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვისა და დამუშავების წესებისა და პროცედურების კანონმდებლობის შესაბამისად განახორციელების უზრუნველყოფის მიზნით, ახალქალაქის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის 2025 წლის 25 მარტის MES 8 25 0000000015 ბრძანებით გამოყოფილია რესურსცენტრის თანამშრომელი, რომელიც უზრუნველყოფს, სკოლაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქციების განხორციელებას. სკოლის დირექტორის 2025 წლის 26 მარტის N 1/2 ბრძანებით განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის სამუშაო აღწერილობა და ანგარიშვალდებულების საკითხები.
სკოლის შიდა მექანიზმები იძლევა საშუალებას უზრუნველყოფილი იქნას პერსონალური მონაცემების დაცვა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლის დირქტორის 2026 წლის 26 მარტის MES 3 26 0000365592 ბრძანებით დამტკიცებულია პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზი. დოკუმენტის მიზანია განსაზღვროს სკოლის მიერ, მისი მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვისა და დამუშავების წესები და პროცედურები, უზრუნველყოს დამუშავების პროცესის კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვა. სკოლის მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი წესი და მონიტორინგის მექანიზმები აყალიბებს დასაქმებულთა/მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტრატეგიას, მონაცემთა დაცვის ძირითად პრინციპებსა და მონიტორინგის მექანიზმებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად ვალდებულია განიხილოს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხები, გასცეს შესაბამისი რეკომენდაციები და მოისმინოს სკოლის დირექტორის ანგარიში რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით. სკოლა მრჩეველთა საბჭოს ფორმატში ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ახალქალაქის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის ბრძანება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის გამოყოფის შესახებ;
- სკოლის დირექტორის ბრძანება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის სამუშაო აღწერილობის და ანგარიშვალდებულობის განსაზღვრის შესახებ;
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის ექთნის დიპლომი;
- შენობა-ნაგებობის მდგარადობის დასკვნა;
- მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან სკოლის შენობის შესაბამისობის შესახებ;
- სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტომასალა.
- შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.
- მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმები.

შეფასება:
○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სკოლის მიერ წარმოდგენილი იქნა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომლითაც დასტურდება რომ სკოლას მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით სარგებლობაში გადაცემული აქვს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულის მიწის ნაკვეთი, ფართობი: 3553 კვ.მ. და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები: N1 (სასწავლო კორპუსი) საერთო ფართით 3791.9 კვ.მ, განაშენიანების ფართი 1264 კვ.მ. შენობა-ნაგებობა N2 (საქვაბე) საერთო ფართი 28.4 კვ.მ. სკოლის მიერ წარმოდგენილია ასევე ინფრასტრუქტურისა და ტექნიკური საშუალებების ამსახველი ფოტომასალა, ინვენტარიზაციის აღწერის უწყისები, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია სკოლის ბალანსზე რიცხული მატერიალური ფასეულობების შესახებ. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის

ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის მერ წარმოდგენილია ინფორმაციულ - საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და ლაბორატორიის სარგებლობის წესი (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით N 19 17.03.2026 წ), რომლის ძირითადი მიზანია სკოლაში არსებული ტექნოლოგიების გამოყენებით სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ეფექტურად წარმართვის უზრუნველყოფა. ცალკეული საგნობრივი პროგრამების მიზნების მიღწევის ხელშეწყობა და გამჭოლი კომპეტენციების განვითარება. მატერიალური რესურსებით სარგებლობის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს: სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობების ორგანიზება მოსწავლეთა პრაქტიკული და თეორიული უნარების განვითარებისათვის, მოზარდის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარება, აუცილებელი ცოდნით უზრუნველყოფა. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ სკოლაში არსებული მატერიალური რესურსებით სარგებლობის პრინციპებია: სკოლაში არსებული რესურსების ხელმისაწვდომობა მოსწავლეებისა და თანამშრომლებისათვის, მოსწავლეთა თანასწორუფლებიანობა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა სასკოლო საზოგადოებისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლის დირექტორის ბრძანებით (ბრძანება N 54 07.0.-2023) დამტკიცებულია ბიბლიოთეკის მუშაობის წესი, რომელიც არეგულირებს სკოლის ბიბლიოთეკაში დაცული საბიბლიოთეკო რესურსის გამოყენებისა და სარგებლობის წესს. სკოლის ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობს ბიბლიოთეკარი. ბიბლიოთეკის გამართული მუშაობის ძირითად ამოცანას წარმოადგენს მოსწავლეთა განათლების, კულტურისა და ზოგადი წიგნიერების განვითარების ხელშეწყობა, თანამშრომელთა პროფესიული განვითარებისთვის საჭირო რესურსით უზრუნველყოფა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების გაეროს კონვენციის თანახმად, სკოლა ვალდებულია დაიცვას ,,გონივრული მისადაგების" პრინციპი, რაც გულისხმობს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იმ აუცილებელი და შესაბამისი მოდიფიკაციებისა და კორექტივების განხორციელებას, რაც არ იწვევს დაუძლეველ და გაუმართლებელ სირთულეებს და უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი უფლებებისა და თავისუფლების ფუნდამენტურ ღირებულებათა რეალიზებას, ამასთან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან დაკავშირებულ ნებისმიერ ქმედებაში, უპირველეს ყოვლისა, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ბავშვის უზენაესი ინტერესები. ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, სკოლის ინფრასტრუქტურა უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ხელმისაწვდომი.

სკოლის ინფრასტრუქტურა მისადაგებულია შშმ პირთა საჭიროებებზე, კერძოდ სასწავლო კორპუსში დამონტაჟებულია ლიფტი, მოწყობილია ადაპტირებული სველი წერტილი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტომასალით, საინვენტარიზაციო აღწერის უწყისებით დგინდება, რომ სკოლის შენობა-ნაგებობა ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;*
- *მატერიალური რესურსების სარგებლობის წესი;*
- *ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტომასალა;*

- *სკოლის ბიბლიოთეკის მუშაობის წესი.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლის მიერ წარმოდგენილია ინვენტარიზაციის მასალები, კომპიუტერული ტექნიკის მიღება-ჩაბარების აქტები და ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტომასალა რომლითაც დგინდება, რომ სკოლას აქვს სათანადო რაოდენობის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლის მიერ წარმოდგენილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის სარგებლობის წესი (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2026 წლის 2 აპრილის MES 8 26 0000398663 ბრძანებით), რომლის მიზანია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომი იყოს როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე პერსონალისთვის. სკოლის კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის უფლება აქვთ მოსწავლეებს, მასწავლებლებს და სკოლის სხვა თანამშრომლებს (მომხმარებლებს).

სკოლას მიეცა რჩევა ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) ინფრასტრუქტურის სარგებლობის წესით, განსაზღვროს კომპიუტერული ტექნიკის, ქსელების, პროგრამული უზრუნველყოფისა და მონაცემთა ბაზების უსაფრთხო გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები: წვდომის კონტროლი, მონაცემთა დაცვა, არასანქცირებული ქმედებების აკრძალვა და რესურსების მიზნობრივი გამოყენება, კერძოდ

IT ინფრასტრუქტურის სარგებლობის ძირითადი წესებით, სასურველია დარეგულირდეს შემდეგი საკითხები:

ა) წვდომა და ავტორიზაცია: სისტემებთან წვდომა უნდა ჰქონდეთ მხოლოდ უფლებამოსილ პირებს, პერსონალური პაროლებისა და იდენტიფიკატორების გამოყენებით.

ბ) უსაფრთხოება: მკაცრად აკრძალული უნდა იყოს უსაფრთხოების სისტემების გვერდის ავლით მუშაობა, მავნე პროგრამების გავრცელება ან არაავტორიზებული პროგრამული უზრუნველყოფის დაინსტალირება.

გ) რესურსების მიზნობრივი გამოყენება: ტექნიკური რესურსები უნდა იქნას გამოყენებული მხოლოდ სამსახურებრივი ან სასწავლო მიზნებისთვის.

დ) მონაცემთა დაცვა: მომხმარებელის ვალდებულებას დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია და არ გაამჟღავნოს წვდომის კოდები.

ე) პასუხისმგებლობა: წესების დარღვევა უნდა იწვევდეს დისციპლინურ პასუხისმგებლობას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტომასალა;
- კომპიუტერული ტექნიკის მიღება-ჩაბარების აქტები;
- ინვენტარიზაციის მასალები;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის სარგებლობის წესი

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლამ წარმოადგინა საქმისწარმოების წესი (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით 03.04.2026 MES 2 26 0000399440), რომელიც განსაზღვრავს საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას, ადგენს დოკუმენტებსა და მოქალაქეთა განცხადებებზე, წერილებზე მუშაობის წესს. წესი სავალდებულოა ყველა თანამშრომლისთვის. აღნიშნული წესი შესაბამისობაში მოდის მოქმედ კანონმდებლობასთან და აზუსტებდეს შემდეგ საკითხებს: დოკუმენტების რეგისტრირების პროცედურები, დოკუმენტების ფორმები და ტიპები, დოკუმენტების შედგენა, გაფორმება. საქმისწარმოების წესი მოიცავს ელექტრონულ საქმისწარმოებასთან დაკავშირებულ ცალკეულ საკითხებს, სკოლაში საქმისწარმოება მატერიალურთან ერთად ხორციელდება ელექტრონული („eflow”) სისტემის საშუალებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლა დოკუმენტებს ამუშავებს ელექტრონულად, საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის e-flow გამოყენებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით (ფოტომასალა) დგინდება, რომ სკოლას საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 9 თებერვლის ,,ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნის და ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" N08/ნ ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით (გასული და შემოსული კორესპონდენციები) დასტურდება ანგარიშების, უკუკავშირისა და ინფორმაციის მიწოდება და თანამშრომლობა საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი
- სკოლის ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის პროფილის ამსახველი ფოტომასალა.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლის მიერ წარმოდგენილია საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით 07.07.2023 N47), რომელიც განსაზღვრავს დაინტერესებული მხარეების ინფორმირების მექანიზმებს, ცნობადობის ამაღლების ღონისძიებებს და მათი ჩატარების გზებს, აღწერს შიდა და გარე კომუნიკაციის წარმართვის პროცესს და ელექტრონული ფოსტის მართვის პრინციპებს. წესი ითვალისწინებს აღნიშნული მიმართულებით დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული უკუკავშირის გამოყენებას გაუმჯობესების მიზნებისთვის.
სკოლა საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ახორციელებს ოფიციალური ვებ გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით. სკოლის მიერ შესრულებულია წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაცია. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ვებ-გვერდის შესწავლით, დგინდება რომ სკოლას აქვს მზაობა უზრუნველყოს ინფორმაციის მართვადობა და საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით დგინდება, რომ სკოლა ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მიზნებისათვის ინფორმაციის შესაგროვებლად აქტიურად იყენებს არსებულ საკომუნიკაციო არხებს (მისიის, ხედვის, ღირებულების შემუშავების პროცესში მიღებული უკუკავშირის შედეგად სკოლას განსაზღვრული აქვს სტრატეგიული მიზნები და

ამოცანები), მიღებული უკუკავშირის გამოყენება ხდება საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს ვებგვერდი, რომელზედაც ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე. სკოლის მიერ შესრულებულია წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაცია. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის ვებგვერდზე განთავსებულია ინდიკატორით დადგენილი ინფორმაცია/დოკუმენტაცია.
სკოლის მიერ შესრულებულია წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაცია. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი;
- სკოლის ვებ.გვერდი skolebi.emis.ge

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

თარიღი: 22.04.2026 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: